პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 247 (13939)

პარასკევი, 20 ოქტომბერი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენო!

უფრო აქტიურად იბრძოლეთ ჩვენი საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის)

პარტიის დიადი სიტყვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი! ეს სიტყვები თან დაჰყვება, აღაფრთოვანებს და ალანთებს დღეს მილიონობით ადამიანებს. კიდევ ორიოდე კვირა, და საბჭოთა ვეყნის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართება საიუბილეო დღესასწაული.

დიადი ზეიმის მომლოდინე ხალხში ს-ეს არის მგზნებარედ გაისმა ლენინის პარტიის საოქტომბრო სიტყვა. მასში კაფიოდ ვლინდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სიდიადე, რომელმაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ მათს ქვეყანაში პირველად ამოვიდა კაცობრიობის გაზაფხულის მზე. სწორედ დიდმა ოქტომბერმა დაუდო სათავე კაპიტალისტური მონობისაგან და სხვა სოციალური უკუღმართობისაგან ჩვენი ქვეყნის ხალხების საუდამოდ განთავისუფლებას. ოქტომბერმა მოიტანა ერთა სოციალისტური ძმობა, მისცა მშრომელებს შრომის, განათლების, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, მოხუცებულობაში უზრუნველყოფის უფლება, მატერიალური კეთილდღეობის განუზრელი ამაღლება. საბჭოთა ადამიანები აფასებენ ყოველივე ამას. კარგად იციან ვინ მოიტანა ეს სიკეთე. და თავიანთ გონების თვალს მიაპყრობენ კომუნისტური პარტიისაკენ, მისი გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინისაკენ, რევოლუციის სახელოვანი მებრძოლებისაკენ.

— დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიის ბელადის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი! დაე მარად ცოცხლობდეს ხალხის ხსოვნაში ბოლშევიკ-ლენინელების, ოქტომბრისა და სამოქალაქო ომის გმირების, სოციალიზმის გამარჯვების ყველა უშიშარი მებრძოლის გმირული საქმენი! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის ბელადს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. საბჭოთა ხალხს სჯერა თავისი ავანგარდის და სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება მის გარშემო. სკკპ ცენტრალური კომიტეტი კვლავაც მოუწოდებს მშრომელებს კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ კომუნისტური პარტიის ლენინური დროშის გარშემო.

პარტიის საოქტომბრო მოწოდებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებთან ერთად ახალ შუქს ფენენ საბჭოთა ადამიანების განვლილ გზას და უფრო გამოკვეთილს ხდიან აწმყოს და კიდევ უკეთეს მომავალს.

— საბჭოთა კავშირის ხალხებო! კომუნიზმის მშენებლობა ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა! მთელი ძალღონე მოახმარეთ პარტიის პროგრამითა და სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მახლობის მთელ შემოქმედებითს ინიციატივასა და თაოსნობას წარმართავენ იქითკენ, რომ განუხრელად ვითარდებოდეს, წინ მიდიოდეს მთელი სახალხო მეურნეობა.

დიდია ოქტომბრის რევოლუციის გავლენა მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. ამიტომაც იგი დიადი საერთაშორისო დღესასწაულიც არის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში თავის ასახვას პოულობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ის პრინციპები, რომლებიც ჩვენმა რევოლუციამ განახორციელა და რომლებითაც ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტია და ხალხი. ჩვენი ქვეყანა ყოველნაირად ეხმარებოდა და ეხმარება დღესაც რევოლუციურ მებრძოლებს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. თავის მხრივ საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ საზღვარგარეთელი მეგობრების მხარდაჭერას. ამიტომაც გულშიჩამწვდომად ყღერს ჩვენი პარტიის მოწოდების სიტყვები: **დიდება კლასობრივ ძმებს, უცხოეთის ქვეყნების ინტერნაციონალისტებს, როგორც ადრე, ასევე ახლა საბრძოლო დროშა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მხარდასაჭერად, გმირულად იბრძოდნენ ჩითელი არმიის რიგებში ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა უარდოების წინააღმდეგ!**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური სამშვიდობო პოლიტიკა, ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების თავიდან ასაცილებლად ნათლად არის ასახული საოქტომბრო მოწოდებაში. კომუნისტური პარტია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გმობს ამერიკელ აგრესორთა ომს ვიეტნამში, კვლავ სოლიდარობას უცხადებს ამპერიალიზმის ხელყოფთა წინააღმდეგ მებრძოლ არაბული ქვეყნების ხალხებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები განაგრძობენ ძლევამოსილ სვლას ჩვენს პლანეტაზე. ოქტომბრით ანთებული სოციალიზმის ჩირაღდანი ნათელი მომავლის გზას უნათებს კაცობრიობას. ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ ჩირაღდანმა გაანათა თავისუფლებისმოყვარე ასეულ მილიონობით ადამიანის ბრძოლის გზა.

ხალხები მტკიცედ მიდიან ოქტომბრის გზით! ამ გზას ასხივოსნებს და ანათებს მარქსიზმ-ლენინიზმი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეური დროშა, ყველა ქვეყნის მშრომელთა გზის მანათობელი ვარსკვლავი.

ჩვენი დღევანდელობის დევიზია: გამარჯე მარჯვენით, ნათელი გონებით ვადიდოთ სამშობლო, პარტია, ოქტომბერი. **მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, ახალი გამარჯვებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!**

გაუმარჯოს კომუნიზმს — აკაცგირიობის ნათელ მომავალს!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად 1967 წლის 3 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

საყოველთაო აღფრთოვანება

ჩვენ კვლავ ვლიდერობთ

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ კოსმოსური ერის მეორე ათწლეული დაიწყო კიდევ ერთი ურთულესი და ამასთან მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის ბრწყინვალე გადაწყვეტით. საბჭოთა ავტომატური სადგურის მიერ ვენერას ატმოსფეროს მთელი სიმაღლის ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებელთა გაზომვა შესრულებულია ამ სადგურის შედარებით ნელ-ნელა დაშვებითა და პლანეტის ზედაპირზე რბილად დაჯდომით. ხოლო დედამიწაზე გადმოცემულ ამ მახასიათებელთა რიცხობრივი მნიშვნელობანი ოთხმოცი ათასი მილიონი კილომეტრი მანძილიდან ერთსა და იმავე დროს უდიდესი მეცნიერული ღირებულების საგანია, ტექნიკის ვირტუოზული მიღწევაა.

კვლევის ახალ მძლავრ საშუალებას შეუძლია გიგანტურად დაჩქაროს საქყაროს შეცნობის პროცესი. იგი ბუუბისმეტყველების ისტორიის დიად წიგნში ახალ ფურცელს წერს.

საყურადღებო აზრი წამოიჭრება, როცა ფიქრობ ვენერადან გადმოცემულ მეცნიერულ გაზომვათა შედეგებზე. რა სწორ ორიენტაციას გვაძლევენ მისი აგებულების თეორიული მოდელირების თა ალგებულების ალგებრული ტოპოლოგიური ... ...

ცოდნის მნვერვალებისაკენ

6 ახალგაზრდა საუკუნემ განვლო 1917 წლის 7 ნოემბრიდან, როცა რუსეთში აფეთქდა სოციალისტების დროს და კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის მსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა.

ხახელოვანი, დიდების შარავანდედით მოსილი გზა განვლო საბჭოთა ხალხმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში უდიდეს რევოლუციურ გარდაქმნათა გმირული გზა, სიძნელეებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ახალი გზა: მაგრამ კომუნისტური პარტიის ირგვლივ მჭიდროდ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც გმირული საქმეებისათვის საბრძოლველად აღფრთოვანებდა ლენინის უკვდავი იდეები, სძლია ყოველგვარ სიძნელეებს, გადალახა ყველა დაბრკოლება და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება.

ოქტომბრის 50 წელი — ეს არის მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნის, სოფლის მეურნეობის კოოპერირების ლენინური გეგმის განხორციელების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, კულტურული რევოლუციის, ხალხის მზრდელი სოციალური, პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, ახალი სამყაროს ადამიანის, ახალი მორალის ადამიანის დაბადების წლები. აი რატომ არის, რომ ახალგაზრდა იუბილეს უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება საბჭოთა ხალხი.

და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი თარიღისათვის დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან საქართველოს მშრომელები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ამრავლებენ წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადება დროულად დაიწყო. ამ დიად დღესასწაულზე სათანადო წვლილის შეტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა დიდი და საპატიო ამოცანაა. მით უმეტეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებასთან. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ თავის დროზე ქართველი პატრიოტი მოღვაწეები განუხრელად და დაჟინებით იბრძოდნენ ეროვნული უმაღლესი სკოლის დაარსებისათვის. ეს ბრძოლა მეტად ძნელი და ხანგრძლივი იყო. თბილისის უნივერსიტეტი, როგორც ცნობილია, დეკრეტით არ შექმნილა. მეფის ხელისუფლების დამხობამ ხელსაყრელი სიტუაცია შექმნა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნისათვის, მაგრამ დიდმპყრობელური დროებითი მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობდა ნებართვა გაეცა უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაზე.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო დროებითი მთავრობა და ამით შეიქმნა რეალური საშუალება უნივერსიტეტის შექმნისათვის.

და აი 50 წლის შემდეგ დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის სათანადოდ შესახვედრად უნივერსიტეტში შეიქმნა საიუბილეო კომისია. შემუშავებულ იქნა დიადი დღესასწაულის აღსანიშნავ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პარტიული კომიტეტისა და უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ. იგი დაბეჭდილი და გამოცემულია ბროშურების სახით ქართულ და რუსულ ენებზე. ასეთივე გეგმები აქვთ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

საიუბილეო გეგმისათვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რომ დარწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი ვალდებულებები აკისრეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და თანამშრომლებმა ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად აღნიშვნისათვის. უნივერსიტეტის საიუბილეო გეგმის შედგენას წინ უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, დაწყებული ცალკეული აკადემიური ჯგუფებიდან, კათედრებიდან და დამთავრებული ფაკულტეტებითა და უნივერსიტეტით. ამან კი გეგმას მისცა უფრო სრულყოფილი სახე და საქმიანი გაზადა იგი.

საგულისხმოა ასეთი ფაქტები: დღეს უნივერსიტეტში, მისი დაარსების 50 წლისთავზე, მეცნიერების მწვერვალებს ეუფლება 14.000-მდე სტუდენტი დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების გზით; 15 ფაკულტეტის 90 კათედრაზე სახარგებლო სასწავლო-აღმზრდელობითსა და მეცნიერულ მუშაობას ეწევა 950 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა შორის 150 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, 430 მეცნიერების კანდიდატი და დოცენტი; დღეს უნივერსიტეტს აქვს 8 სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია, რომელთაგან 4 პრობლემური და მუშაობს 300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი. ყოველივე ეს კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს საბჭოთა ადამიანების გულში. საამაყოა ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტმა 50 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს მისცა 40.000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი კომუნისტურ მშენებლობაში. სად არ ნახავთ მათ, ისინი ჩვენი დიადი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში შრომობენ და იღწვიან.

საიუბილეო გეგმით გათვალისწინებულია საკითხები უნივერსიტეტისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სფეროდან, როგორიც არის სასწავლო, აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვ. მომზადებულია და ამ დღეებში გამოვა დიადი თარიღისადმი მიძღვნილი მეცნიერული შრომების საუნივერსიტეტო კრებული. ასეთივე კრებულები აგრეთვე ყველა ფაკულტეტზე მომზადდა. ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული თბილისის, ერევნისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ სესიაზე მოსაწვლეობის მისაღებად, რომელიც ქ. ერევანში მიმდინარე წლის 4-7 ოქტომბერს გაიმართა. აღნიშნულ სესიაზე მოხსენებით გამოვიდნენ: პროფესორი ა. სურგულაძე — „ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ამერიკაკავასიაში", პროფესორი შ. ძიძიგური — „ენათმეცნიერების განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში", პროფესორი ნ. ძიძიგური — „ქართული ნეიროფიზიოლოგია", პროფესორი ბ. ხვედელიძე — „საბჭოთა საქართველოს მათემატიკოსთა სკოლა", პროფესორი ვ. კოკორაშვილი — „თბილისის უნივერსიტეტი და ქიმიური მეცნიერების განვითარება საქართველოში", პროფესორი ვ. მამასახლისოვი — „ფიზიკის მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე", პროფესორი ნ. სხირტლაძე — „გეოლოგიურ მეცნიერებათა განვითარება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე".

სკკპ ისტორიის, ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის № 2 და სხვა კათედრების მიერ გამსვლელი სამეცნიერო სესიები მოეწყო ქალაქ ქუთაისში, ლაგოდეხის, გურჯაანის, სამტრედიის, თერჯოლის, სიღნაღის და საქართველოს სხვა რაიონებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა სტუდენტთა სამეცნიერო სესიები კიბერნეტიკის, ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის ფაკულტეტებზე, ხოლო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები — ეკონომიკის, მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ფილოლოგიის, კიბერნეტიკის ფაკულტეტებზე. გაიმართა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა რამდენიმე შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან: ს. ქავთარაძესთან, ს. ბერაძესთან, ი. კოკლიანაშვილთან, ე. ზაქარიაძესთან და სხვებთან. მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში გაიმართა უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა შეხვედრა უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის პირველ წევრებთან, კომუნისტებთან 1917 წლიდან ა. პაპავასთან, ს. კაკაჩიშვილთან, პ. ხარებავასთან. აღნიშნული შეხვედრა მოეწყო დევიზით: „უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ისტორიიდან". შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ცნობილ მწერლებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, მეცნიერებთან, მოეწყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ექსკურსიები რევოლუციური მძრაობის ღირსშესანიშნავ ადგილებში. წაკითხულია მრავალი ლექცია და მოხსენება ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამ ერთი თვის წინათ გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი. დიდ თარიღს მიეძღვნა აგრეთვე უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის, საქართველოს სსრ ფინანსსა და სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და სსრ კავშირის მშენებლობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა.

იმ მრავალ ღონისძიებათა გარდა, რომლებიც ამ დღეებში უნდა განახორციელოთ, გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ გამოიცეს 30 თანამედროვე ნაშრომი „ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან", ხასწავლო ჟურნალის „ახალგაზრდა ჟურნალისტის" ორი ნომერი, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ახალგაზრდა მწერალთა წრის ალმანახ „პირველი ხეივნის" VIII წიგნი.

განსაზღვრულია მოეწყოს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღე" ქ. ქუთაისში, სადაც ერთდროულად 40-მდე საწარმო-დაწესებულებაში წაიკითხება ლექციების ციკლი პროფესორ-მასწავლებელთა მიერ. ასევე გაიმართება უნივერსიტეტის ფიზიკულტურული კოლექტივების საიუბილეო სპარტაკიადა, მოეწყობა დიადი თარიღის აღსანიშნავი გამოფენები, სტენდები. განსაზღვრული გვაქვს კახეთის რაიონის სოფელ ხოვლეში, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სახლში, მოვაწყოთ და სახეობად გავხსნათ ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის 100 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ალპინიადაში.

ფართოდ არის გაშლილი საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სწავლაში, შრომასა და დისციპლინაში. უნივერსიტეტის კოლექტივმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია 1966-67 სასწავლო წლის სასწავლო-აღმზრდელობითსა და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. ორგანიზებულად ჩაატარა ახალი კონტინგენტის მისაღები გამოცდები მიმდინარე წელს. ახალი შრომითი წარმატებებით უპატაჟა უნივერსიტეტის სტუდენტმამ საიუბილეო წელს უამრავი მიწების სამშენებლო ობიექტებზე. წელს მესამედ გაეგზავნა ჩვენი სტუდენტობა უამრავ მიწებზე და შრომისადმი თავისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით წარმატებებსაც მიაღწია, სასახელოდ დაამთავრა სამუშაო და შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიმკვიდრა. ამასთან, მათ უამირზე სამეურნეო წარმატებებთან ერთად დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაიჩიეს ადგილობრივ მოსახლეობაში.

საიუბილეო წელს კიდევ უფრო ინტენსიურად გაიშალა მუშაობა ახალგაზრდობას შორის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. უნივერსიტეტში მოსწავლე 25 ეროვნების წარმომადგენელთა შორის შექმნილია ქარგი, მეგობრული ატმოსფერო. კიდევ უფრო განმტკიცდა ამ წელს მეგობრული ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კოლექტივებს შორის. მრავალი მეცნიერი ეწვია წელს ჩვენს სახეგვალებელს იენის უნივერსიტეტიდან ლექციების წასაკითხად, ხოლო ივლისში იქაური 60 სტუდენტი გვეწვია სტუმრად. ჩვენმა სტუდენტებმაც ამას წინათ სასახელო ვიზიტი გაუკეთეს იენელებს. სტუდენტთა კოლექტივების გაცვლა მოხდა აგრეთვე ჩვენს უნივერსიტეტსა და ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის უნივერსიტეტებს შორის.

სასიამოვნოა, რომ საიუბილეო წელს საგრძნობლად ამაღლდა წაკითხული ლექციების ხარისხი, ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა აქტივობა.

მეტად შთამაგონებელ დოკუმენტს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი" — ღრმა მოწონებითა და კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი. ეს დოკუმენტი ხომ სიამაყის გრძნობას უნერგავს ყველა პატიოსან ადამიანს. აღნიშნულ თეზისებს დიდი მონდომებით სწავლობს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა.

დიახ, რესპუბლიკის ცოდნის ტაძარში — სახელმწიფო უნივერსიტეტში—ყოველდღიურად დუღს მუშაობა, მეცნიერებას ეუფლება ათასობით ახალგაზრდა, რომლებმაც კარგად იციან, რომ ეს ოქტომბრის სიკეთეა, მისი მადლია.

დ. ჯიჟია,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სამეცნიერო სესია კონსერვატორიაში

ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც 18 ოქტომბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

შესავალი სიტყვით სესია გახსნა კონსერვატორიის პროორექტორმა ვ. ლორთქიფანიძემ. მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის" გაკეთდა დოკლადი შ. ცაგარეიშვილმა.

პროფესიული კოლეგური საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაზე საქართველოში ილაპარაკა სა-ქართველოს სსრ სახალხო artისტმა დ. მჭედლიძემ. მოხსენებაში ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის შესახებ ო. ჩიქოვანმ აღნიშნა საქართველოს თვალსაჩინო მუსიკალურ მოღვაწეთა ინტენსიური მუშაობა ფოლკლორის შეკრებისა და კვლევის დარგში, რომელიც ხორცელდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა ჰალეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) უნივერსიტეტის პროფესორი ერჰარდ ბაზელერი, რომელიც საქართველოში იმყოფება რეს. პუბლიკის კულტურის სამინისტროს მოწვევით. სესიის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს გერმანელი სტუმრის მოხსენება „მუსიკალური ესთეტიკის ფატალური პრობლემები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში", რომელიც მან რუსულად წაიკითხა.

მუზეუმი საზოგადოებრივ საწყისებზე

ახმეტა. (საკ. კორ.). საქართველოს კა ახმეტის რაიონის ბიურომ შექმნა ახმეტის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საორგანიზაციო კომიტეტი, გადასცა მას სამუზეუმო შენობა და რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეგროვილი მდიდარი ეთნოგრაფიული, საბჭოთა პერიოდის ამსახველი და სხვა მასალები.

მუზეუმის ფონდში 7.000-ზე მეტი ექსპონატია. მუზეუმისათვის გადასაცემად ექსპონატებს ამზადებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი კ. ფიცხელაური).

ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი მუზეუმი გახსნეს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, საბჭოთა პერიოდის ამსახველ სტაციონარულ გამოფენებს.

ლექციები მაღალმთიან სოფლებში

თიანეთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში თიანეთს ეესტუმრა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ათახელაშვილი, რომელმაც თიანეთის მერძევეობა-ვეტერინარიის საბჭოთა მეურნეობის მუშებს წაუკითხა ლექცია თემაზე: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა".

ამავე თემაზე ლექცია წაკითხულ იქნა სიმონიანთხევის კოლეგიურნეობაში. არტნის კოლეგიურნეობის წევრებმა მოისმინეს ლექცია თემაზე „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და მსოფლიოს მშვიდობის ძალები".

რაციონალიზატორი

ხუთწლედის ადამიანები

ვალერ დევიძეს ელექტრობა და მექანიკა სამუალო სკოლაშიც იზიდავდა. იგი მოდელების დამზადებით იყო გატაცებული. როცა დავამყაოდა, განსაკუთრებით ელექტროტექნიკაში გაიწაფა. იგი ინჟინერი როდია, მაგრამ ათ წელზე მეტია ინჟინრის თანამდებობაზეა მუშაობს, ვ. ი. ლენინის სახელობის მექანიზებული მაღაროს საელმავლო დეპოს კოლექტივს თაგვაცობს. ლევანი ტექნიკის ღრმა მცოდნე, დაუდგრომელი და გონებამახვილი ადამიანია, მის გამგელულ აზრს ბევრი საუკეთო წინადადება წამოუყენებია, წარმოებაში დაუნერგავს და ამიერ ათასობით მანეთი დაუზოგავს.

ვ. ი. ლენინის სახელობის მაღარო ერთ-ერთი მძლავრი და მექანიზებული საწარმოა ბიაფარაში. მარტო მისი მიწისქვეშა ტრანსპორტი ხუთ ათეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. აქ ერთდროულად 28 მძლავრი ელმავალი მუშაობს, მაგრამ ლოკომოტივების ტრანსპორტის დატვირთვა 35-40 ვაგონსია, რაც არ თუნდაც ელმავლების მუშაობას, იწვევს შეფერხებას და ტექნიკა მწყობრიდან გამოდის. ტრანსპორტის შეფერხება დიდ თავსატეხს უქმნიდა საელმავლო დეპოს კოლექტივს და მის ბამდოლს ლ. დევიძეს.

მაღარის ტრანსპორტსა და ელმავლებზე ფიქრით ლევანს ბევრი ღამე თეთრად უთენია. განსაკუთრებით ელმავლები ჭირვეულობდნენ. კვარტალში ოთხი-ხუთი ელმავალი გამოდიოდა მწყობრიდან. ეს ერთობ დამაფიქრებელი იყო.

აქ პრიმის ოლქის ალექსანდროვსკის მანქანათამშენებელო ქარხანაში შექმნილი „14-კრ-1" მარკის ელმავლები მუშაობენ. ძალებთა და შეუპოვარი მუშაობით ლევანმა ძირეული ცვლილებები შეიტანა ელმავლის კონსტრუქციაში. ლ. დევიძის გამგელულ აზრს ზოგმა უნდობლად შეხედა. მაგრამ ახლის მაძიებელი ადამიანი გულს არ იჯერდა, რადგან სწამდა თავისი აზრის სისწორე. იგი ერთხანს ტორეიკისა და ალექსანდროვსკის მანქანათამშენებელო ქარხნებშიც მიავლინეს. იქ კონსტრუქტორებს ესაუბრა. მათ მოიწონეს რაციონალიზატორის მოსაზრება.

ლ. დევიძემ არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც ბევრი რამ შეიცვალა ელმავლის კონსტრუქციაში. ელმავლის რედუქტორი გორგოლაჭიდან საკისარებზე გადაიყვანა, რითაც ოთხჯერ გასანგრძლივდა რედუქტორის მუშაობა, შემცირდა შეკეთების დრო, დაიზოგა ფერადი ლითონი. ლევანის წინადადებით ელექტროქუსელი ელმავლის კუდლებში გადაიტანეს, რითაც შემცირდა ქსელის დაზიანება და შეფერხებები. ახალი ტექნოლოგიით დამუშავდა და გადიდდა სამუხრუჭე ხუნდების ფართი. ამან გოგორწყვილების ხანგრძლივობა ორჯერ, ხოლო ხუნდებისა — თექვსმეტჯერ გაზარდა. დამუხრუჭებისათვის შეიცვალა ბუქსის კორპუსი, გაუმჯობესდა პნევმატური სისტემა და სილის მიწოდება, რაციონალიზატორმა გაუმჯობესა კომპრესორის კონსტრუქციაც.

გაუმჯობესებული კონსტრუქციის ელმავალი ინასუხა ალექსანდროვსკის ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. იუშენკომ და მოიწონა. მისი მმართველი ქარხანაც დაიწყო გაუმჯობესებული კონსტრუქციის ელმავლის გამოშვება, რომელსაც ახის მარკა „14-კრ-2-ჩ". ეს იმას ნიშნავს, რომ ალექსანდროვსკის ქარხანა უშვებს ელმავალს „ჩაიათურის" სახელწოდებით.

ეს დიდი გაუმჯობესება სპეციალისტებმა განაგრძობეთ სამშობლოს 200.000 მანეთს უზოგავს.

რაციონალიზატორის ბუნება მუდამ დაუდგრომელი და ახლის მაძიებელია. მისმა შემოქმედებითმა აზრმა ახალი ტექნიკური გაუმჯობესება შექმნა.

ელმავლის რედუქტორში ჩადგმული კბილანები ხშირად ტყდებოდა, ამით მწყობრიდან გამოდიოდნენ მძლავრი ელმავლები. ამ მიზეზით მარტო შარშან ვადამდე ჩამოიწერა 20 ელმავალი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 5 ელმავალი.

მდგომარეობამ ჩაფიქრა ლ. დევიძე, და მან ბოლოს მიაგნო კიდეც ამ რთული საკითხის სწორ გადაწყვეტას. მისი წინადადებით ადგილზე დამზადდა ორასტონიანი სიმძლავრის ჰიდრავლიკური წნები, რომლითაც წარმოებს რედუქტორის კბილანების დაშლა-აწყობა უსაფრთხოდ და გაუხურებლად. საყურადღებოა, რომ ეს პროცესი წინათ ხელით ხდებოდა, ოთხჯერ ახანგრძლივებდა ელმავლების მუშაობას, აუმჯობესებს ელმავლის უსაშიშროებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორები ერთად დიდი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გაიჩიეს ადგილობრივ მოსახლეობაში.

საიუბილეო წელს კიდევ უფრო ინტენსიურად გაიშალა მუშაობა ახალგაზრდობას შორის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის. უნივერსიტეტში მოსწავლე 25 ეროვნების წარმომადგენელთა შორის შექმნილია ქარგი, მეგობრული ატმოსფერო. კიდევ უფრო განმტკიცდა ამ წელს მეგობრული ურთიერთობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კოლექტივებს შორის. მრავალი მეცნიერი ეწვია წელს ჩვენს სახეგვალებელს იენის უნივერსიტეტიდან ლექციების წასაკითხად, ხოლო ივლისში იქაური 60 სტუდენტი გვეწვია სტუმრად. ჩვენმა სტუდენტებმაც ამას წინათ სასახელო ვიზიტი გაუკეთეს იენელებს. სტუდენტთა კოლექტივების გაცვლა მოხდა აგრეთვე ჩვენს უნივერსიტეტსა და ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის უნივერსიტეტებს შორის.

სასიამოვნოა, რომ საიუბილეო წელს საგრძნობლად ამაღლდა წაკითხული ლექციების ხარისხი, ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა აქტივობა.

მეტად შთამაგონებელ დოკუმენტს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი" — ღრმა მოწონებითა და კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი. ეს დოკუმენტი ხომ სიამაყის გრძნობას უნერგავს ყველა პატიოსან ადამიანს. აღნიშნულ თეზისებს დიდი მონდომებით სწავლობს ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა.

დიახ, რესპუბლიკის ცოდნის ტაძარში — სახელმწიფო უნივერსიტეტში—ყოველდღიურად დუღს მუშაობა, მეცნიერებას ეუფლება ათასობით ახალგაზრდა, რომლებმაც კარგად იციან, რომ ეს ოქტომბრის სიკეთეა, მისი მადლია.

დ. ჯიჟია,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოყოფილი ქვეკომისიების სხდომები.

ქვეკომისიებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ დეპუტატები დ. ამუთიძე, მ. დანელია, თ. მოსაძგილი, ს. რიგვავა, მოისმინეს საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, უმაღლესი სკოლებისა და საშუალო სპეციალური განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", „ცეკავშირის" გამგეობის მოხსენებანი მათ მიერ 1966-67 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმის, სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმებისა და 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებების მოსმენამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები — ქვეკომისიების წევრები, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე წინასწარ გაეცვნენ სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას.

ქვეკომისიები განაგრძობენ მუშაობას და ანალიზებენ მათს კომპეტენციაში შემავალი დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მიერ გაწეულ მუშაობას და სათანადო რეკომენდაციებსა და დასკვნებს წარუდგენენ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას.

18 ოქტომბერს გაიმართა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა დეპუტატ დ. გელაშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ი. მიქელაძის მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმების შესახებ" და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ა. ჭირაქაძის მოხსენება „საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ".

საკითხის განხილვაში გარდა კომისიის წევრი დეპუტატებისა მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საოლქო და ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომების წარმომადგენლები.

კომისიის სხდომაზე წამოჭრილ საკითხებზე ამომწურავი პასუხები გასცეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მიქელაძემ და ფინანსთა მინისტრმა ა. ჭირაქაძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვეჭაძემ. (საქდესი).

კოლიმერეგი მრეწველოგაში

ამას წინათ თბილისში გაიხსნა რესპუბლიკური თათბირი პოლიმერების საინჟინრო მექანიკისა და მრეწველობაში პლასტმასის გამოყენების საკითხებზე. თათბირი მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტის, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის ინიციატივით.

(საქდესი).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი მეათე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **ნ. ტყეშელაშვილი** — მეცნიეროული კომუნიზმის ფუძემდებლური ნაშრომი; **ი. მირცხულავა** — კომუნისტური პარტია — სოციალისტური რევოლუციის პარტია; **ა. თხილაიშვილი** — აჭარის სოფლის მეურნეობა საიუბილეო წელს; **ნ. ჯანჯღავა** — დიადი მონაპოვარი; **თ. ლობჟანიძე** — სოფლად სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარება; **ა. ქავთარაძე** — ნაფილი პერსპექტივები; **გ. სამხონაძე** — კაკაო კაცითა; **გ. ამაღაშვილი** — ოქტომბრის შუქით გამბარი მხარე; **გ. ჩერქეზიშვილი** — მრავალწლიანი ქვავი — ძვირფასი საკვები; **ს. ლომკაცი** — ბაღეინახებით ავაყვავოთ ფერდობები; **გ. ცომაია** — მოსაწყლავად გამოვიყენოთ თბილი წყლები; **ვ. ქეცხაშვილი** — გარეკახეთის ზეგანზე მინერალური სასუქების გამოყენების საკითხისათვის; **ირ. მაჭავარიანი** — კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ზოგიერთი საკითხი; **ვ. გეგეჭკორი** — ძირითადი სასუქებისა და მიკროელემენტების გავლენა პამიდორის მოსავლიანობასა და ხარისხზე; **ნ. სურამელი** — ტყიბულის რაიონში მეხილეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი; **ვ. ბოცირიძე** — ფართო გზა თხილის კულტურას; **გ. ბაბრიეიძე** — ბლისა და ალუბლის ჯიშები ეახის რაიონში; **ზ. მაისურაძე** — მეჩაიეობის განვითარება საბჭოთა აფხაზეთში; **შ. ხეფურიანი** — ინტენსიფიკაციის სიკეთე; **ბ. პაიჭაძე** — მეცხოველეობის მაღალი კულტურისათვის; **ს. ბოცვაძე** — ქართული ამრეშემი უძველესია; **კ. ლეფავა** — მანქანათა საცდელი სადგური 40 წლისაა.

„სკოლა და ცხოვრება" № 10

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური საშეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" მორიგი, მეათე ნომერი. ჟურნალს აქვს განყოფილებები: „დიადი თარიღისათვის", „სწავლებისა და აღზრდის საკ

კოსმოსურ ნავსაფენი

რეპორტაჟი საპლანეტათშორისო სადგურების ქარხნიდან, სადაც შექმნეს „ვენერა-4“

ეს ვიმაელი სსრ კავშირის ოქრის გერბით და ჩვენი სამშობლოს ალამი სახბოლთა ადამიანმა გაგზავნა შორეულ პლანეტაზე.

ეს, შეხედეთ... — თქვა კონსტრუქტორმა მიხეილ კირილეს-ძემ, როცა ხალათები ჩავიცვეთ, ხელ მიკროფონოვან ხალიჩაზე გულმოდგინედ გავიწმინდეთ ფეხი და ერთ-ერთი საამქროს ზღურბლს გადავაბიჯეთ. — ჩვენი სადგური აქ კოსმოსის პირობებში მუშაობს...

იქ არც სადგური იყო, არც კოსმოსი, იყო მაღალი ჭერი, მზის შუქით განათებული ფანჯრები მთელი კედლის სიგანისა და რამდენიმე უზარმაზარი ცისტერნა, იმ ცისტერნების მსგავსი, რომლებითაც დილაობით შოფერები რძეს ჩამოატარებენ ხოლმე, ოღონდ გაცილებით უფრო დიდი ზომისა. ერთ-ერთი მათგანი, მსგავილი ხალტეები რომ ჭერზდა შემოკრული, — იმ გახამებული ხალათივით თეთრი, რომელიც შესვლისას მომცა მორიგე ვახტერმა ქალმა, ყველაზე დიდი იყო. პირველ რიგში სწორედ მისკენ გაეგმართა მიხეილ კირილეს-ძე. ცისტერნის თავზე ადიოდა ხომალდის კიბის მსგავსი ფოლადის კიბე. თბოიზოლაციით შეფუთული ლითონის მილების ხლართებს ალაგ-ალაგ ჭირხლი ჰქონდა მოდებული...

— ამ თერმობაროყამერაში ახლა ყველაფერი ისეა, როგორც კოსმოსში. სადგურის ერთ მხარეს მოთავსებულია ისეთი ცივი ეკრანი, როგორიც იგი შეიძლება გახადოს მხოლოდ თხევადმა აზოტმა, მეორე მხარეს კი განსაკუთრებული ნათურები, რომლებიც თვით მზეს წარმოსახავენ, ავარვარებენ ჩვენი „ვენერის“ ორეულს.

— კარგი იქნებოდა შიგ ჩახედვა...

— ჩვენც განუწყვეტლივ ვადევნებთ მას თვალს. მართალია, არა ვიზუალურად, არამედ საკონტროლო ტელემეტრიული ხელსაწყოების ჩვენებათა მეოხებით...

მიხეილ კირილეს-ძე გასცდა კამერას, და როცა მის მეორე მხარეს აღმოვჩნდით, დავინახე მრავალი პულტი, რომლისკენაც სხვადასხვა ფერის სადენების ჩალიჩები მიდიოდა. ნელა, როგორც ლეტარგიაში, მიედინებოდა ქაღალდის განირი ლენტები და მათზე ჩნდებოდა რთული სახეები. ეს სახეები რაღაცით წააგავდა ფრინველთა ნაკვალევს თოვლზე თუ ამოცანა-ნიშნებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია პერგამენტის გრაგნილებით წარსული დროის შორეთიდან, რომლებიც გასაგებია მხოლოდ საქმეში ჩახედულთათვის და ამიტომ იწვევენ შეწვევე ცნობისმოყვარეობას — რა და რის შესახებ წერია იქ?.. მათ წინაშე თავს იმათზე უკეთ როდი ვგრძნობდი, ვინც პირველად დაინახა როზეტის ქვა, რომელმაც კაცობრიობას გადაუშალა ეგვიპტის პაპირუსების საიდუმლოება, მიხეილ კირილეს-ძემ კი სწრაფად ჩაავლო მათ თვალი და სრულიად ჩვეულებრივი ხმით თქვა:

— ამჟამად ყველაფერი ნორმალურად არის. ამ ცოტა ხნის წინათ კი საკმაოდ ვიღელვეთ. ობიექტზე (ქარხანაში ასე უწოდებდნენ „ვენერა-4“-ს) მორიგი სეანსის დროს უცებ ვერ მივიღეთ სიგნალი, რომელიც დაგვიდასტურებდა, რომ აპარატურის ნაკეთურში გაიხსნა თერმორეგულირების საფარი. შეფერხების მიზეზის ძებნა აქ მოგვიხდა და, როცა მივხვდით, თუ რაში იყო საქმე, საფარი გაიხსნა.

— თვითონ? თქვენ გამოიცანით, ის კი გაიხსნა?..

— არა, ეგრე გამარტივება როგორ იქნება. ჯერ ორეულზე გავითამაშეთ ყველა შესაძლო ვარიანტი, ამოვარჩიეთ ოპტიმალური, და ჩვენი ბრძანებით იგი გაიხსნა... — მიხეილ კირილეს-ძემ უურადღებით დახედა კიდევ რომელიღაც გრაფიკს და გაიმეორა:— ჯერჯერობით იგი არა ურჩობს. ბორტზე ყველაფერი რიგზეა. იმედი გვაქვს, რომ ასე იქნება პლანეტასთან შეხვედრამდე...

და აქვე, საამქროში, დედამიწის კოსმოსის გვერდით მდგომარემ მან განაგრძო თხრობა იმაზე, თუ რა არის ეს პლანეტა და რატომ მივისწრაფვით მისკენ...

პლანეტათაგან უმშვენიერესის შესახებ და ცოტაოდენი ისტორია

როცა ადამიანებმა ისწავლეს ვარსკვლავების დაკვირვება, ღამის ცაში მათ მკაფიო წერტილი შენიშნეს. იგი ხან დილის, ხან საღამოს საათებში გამოჩნდებოდა ხოლმე და ისე ლამაზი იყო, რომ ძველმა ადამიანებმა მას ვენერა უწოდეს...

„უმშვენიერესი ციურ ვარსკვლავთაგან“, — უმღეროდა მას ჰომეროსი. ბერძენი და რომაელი ხუროთმოძღვრები ქალღმერთის პატივსაცემად თეთრი მარმარილოს ტაძრებს აშენებდნენ, პოლინეზიაში გასულ საუკუნეშიც კი ადამიანები ჯერ კიდევ ისე აღმერთებდნენ მას, რომ ადამიანსაც კი სწირავდნენ მსხვერპლად დილის ვარსკვლავს, იგი კი კვლავ რჩებოდა იმდენადვე მშვენიერი, რამდენადაც მიუწვდომელი და საიდუმლოებით მოცული. გალილეომ, მართალია, გაარკვია, რომ ვენერა მთვარის მსგავსად იცვლის ფაზებს, ხოლო რუსეთის აკადემიის მრჩეველმა მიხაილო ლომონოსოვმა პირველმა აღმოაჩინა, რომ ეს ვარსკვლავი გარემოსილია „სქელი ჰაერის ატმოსფეროთი, ისეთით (თუ უფრო მეტით არა), როგორიც ჩვენი დედამიწის სფეროს გარშემოა“...

მეტის შეტყობა ლომონოსოვმა ვერ შეძლო, თუმცა რუსეთელი აკადემიკოსი ფრიად და ფრიად გამჭრიახი და შეუპოვარი იყო. ნუ ვუსაყვედურებთ მას: ვენერის ატმოსფერო იმდენად „სქელი“ აღმოჩნდა, რომ ახლანდელ მძლავრ ოპტიკურ ტელესკოპებსაც კი არ ძალუძთ ჩაიხედონ მის ღრუბლებრ ფარდას იქით. მართალია, რადიოტელესკოპით შეიარაღებულმა ასტრონომებმა გამოიანგარიშეს, რომ ჩვენგან ამ ვარსკვლავამდე არის ხოლმე სულ 41,5 მილიონი კილომეტრი — ასჯერ მეტი, ვიდრე მთვარემდე, მაგრამ ერთნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე მარსამდე! ჩვენ შევიტყეთ, რომ მზის სისტემის პლანეტებს თავიანთ გარშემო თავი მოუფრიათ თანამგზავრთა მთელი კომპანიისათვის, ვენერა კი მარტოდმარტო დახეტება სამყაროს სივრცეებში. და საერთოდ ამ ლამაზმანს უველაფერი ისე როდი აქვს, როგორც სხვებს... და რაც უფრო მეტის შეტყობას ცდილობდნენ მის შესახებ ასტრონომები, მათს ცდებს სულ უფრო მეტი საწინააღმდეგო ცნობები მოჰქონდა პლანეტის არსის შესახებ.

ჰიპოტეზები ურიცხვია...

ერთნი ამტკიცებენ, იქ ხიცივე მეფობსო, მეორენი ვენერას „აცხელებენ“ თითქმის 400 გრადუსამდე, მესამენი ხედავენ მზრალ, მტვრიან უდაბნოებს, მეოთხენი იმ აზრისა არიან, რომ იქ მთლიანი ზღვებია, მეხუთეებმა კი ყოველივე ამას დაუმატეს ისეთი ატმოსფერული წნევა, რომელიც დედამიწაზე შეიძლება განვიცადოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კილომეტრ სიღრმეზე ჩავეშვებით ოკეანეში... და ჩვენგან ყველაზე ახლო მყოფი პლანეტა კვლავ რჩება ყველაზე მეტად მოცული საიდუმლოებით. თეორეტიკოსთა კამათი შეიძლებოდა კიდევ და კიდევ გაგრძელებულიყო, მაგრამ დედამიწაზე სიტყვას უკვე იღებდა კოსმოსის პრაქტიკოსი...

სად არის შესაძლებლის საზღვრები?

ვარსკვლავეთის პრაქტიკოსების საქმე ადვილი როდი იყო. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სამი თარიღი ჩვენი კოსმოსური ათწლეულის მატიანიდან. ათწლეული, რომელიც ორი კვირის წინათ მთელმა მსოფლიომ აღნიშნა, რათა შეეფასებინა სიძნელე მათი პირველი ნაბიჯებისა დიდ კოსმოსში. ცხრაას სამოცდაერთი წლის 12 თებერვალს ცხრაას სამოცდახუთი წლის 12 და 16 ნოემბერს პლანეტისაკენ მიდიოდა დედამიწის ქარხანაში გაკეთებული სამი „ვენერა“. პირველმა გაიარა სულ სამი მილიონი კილომეტრი, როცა მასთან კავშირი მოულოდნელად შეწყდა.

მეორე სადგურმა ასე თუ ისე მიაღწია პლანეტის მიდამოებს. მან გაიარა — როგორც ეს კიდევაც გათვალისწინებული იყო გაანგარიშებებით — რაღაც ოცდახუთი ათას კილომეტრზე პლანეტიდან და გაქრა მზის სისტემის უსახრულო სივრცეში. თუ მას გზა არ გადაუკვეთა უცაბედმა მეტეორმა — იგი გახდა ჩვენი მნათობის ხელოვნური თანამგზავრი, და მომავალის კოსმონავტები შესაძლოა როდისმე წაეწყდებიან

ჩვენს ყველა-ქალაქში

გვიტყობინებენ „კომუნისტისა“ და საქმენის კორესპონდენტები

შეხვედრა გორჯომელ მშრომელებთან

გორჯომი, 19 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). 18 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის III რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი შეხვდნენ გორჯომელ მშრომელებს.

შეხვედრა სიტყვით შეხვედრა გახსნა კოჰკავშირის გორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მაისურაძემ.

ქალაქის მშრომელებს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გამრეკელი.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს ძველმა ბოლშევიკმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვეტერანთა საბჭოს წევრმა დ. ლომაძემ, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ეგაძემ, პოეტმა რ. ამაშუკელმა, ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერის კულტურის სახლის დირექტორმა შ. ნაჩიძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, პოეტმა მ. ფოცხიშვილმა, ქართული ლიტერატურის წრის ხელმძღვანელმა ლენინგრადში ჟურნალისტმა რ. ცუცქირიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ო. კობერიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

დღეს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის შეკრების მონაწილენი შეხვდნენ ბორჯომის მოსწავლე ახალგაზრდობას, გაუზიარეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები.

ლითონის სანგარეკლოგისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ტექნიკის სახლში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ლითონის კოროზიის საკითხების ექსპერტ-სპეციალისტთა სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი.

თათბირის მონაწილეები იყვნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის ბათუმის კოროზიის საგურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ბათუმის კოროზიის ლაბორატორიის საცდელ მოედანზე და გაეცნენ ამ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას.

თავისუფალ დროს სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქისა და გარეუბნის ღირსშესანიშნაობანი.

მეშახტეთა ყოფა-ცხოვრებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). დღითიდღე უმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქში. ამ ბოლო ხანებში აქ არაერთი ახალი საამქრო და სახელოსნო გაიხსნა. პოპულარობით სარგებლობს ბაგრატიონის ქუჩაზე ახლახან გახსნილი ლაბადების სამკერვალო საამქრო. საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელთან მოქალაქეები ხშირად ხედავენ სპეციალიზებულ მსუბუქ ავტომანქანას, რომლითაც დიასახლისები ბაზარში ნაყიდ სანოვაგეს შინ ეზიდებიან. სოფელ ორპირში ამოქმედდა კიბის მოზაიკური საფეხურების დამამზადებელი სახელოსნო.

ახალი ქარხანა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქ შენდება ხილეული წყლების ახალი ქარხანა, რომლის დამთავრებას საიუბილეოდ ეარაუდობენ. ქარხანა, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი, ერთ-ერთი მძლავრი საწარმო იქნება.

ხალხის სამსახურში

აკურა ერთ-ერთი დიდი, ლამაზი და კეთილმოწყობილი ხოფლია თელავის რაიონში. ამას წინათ აკურელ მშრომელთა სამსახურში ჩადგა კიდევ ორი ახალი ობიექტი — საყოფაცხოვრებო მომსახურების საელონი და რადიოსა და ტელევიზორების შემკეთებელი სახელოსნო.

ბ. ნებუნიშვილი.

სიმღერად იქცა...

ირაკლი აბაშიძე

მეოთხედი საუკუნის წინათ ირაკლი აბაშიძის მიერ შექმნილი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ მაშინვე დიდად პოპულარული გახდა, მას კითხულობდნენ ფრონტზე და ზურგში, მისი მიხედვით სიმღერა შეიქმნა. ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა ე. ელიგულაშვილმა ი. ბ. აბაშიძეს სთხოვა გადმოეცა ამ ლექსის შემოქმედებითი ისტორია. „ლიტერატურნაია გაზეტა“, 18 ოქტომბერი, 1967 წ.

ამას წინათ გენერლებისა და ოფიცრების, დიდი სამამულო ომის ვეტერანების ჯგუფმა, იმასთან დაკავშირებით, რომ კავკასიისათვის გმირული ბრძოლიდან ოცდახუთი წელი სრულდება, მიმიწვია გაგვევლო იმ ბრძოლების მარშრუტებით, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველმა მეომრებმა. იქ, ტყეში ნალჩიკის ახლოს, დგას კაპიტან ბუხაიძის ძეგლი...

ხშირად მეკითხებიან: ხომ არ არის ჩემი ლექსი მხოლოდ პოეტური მოწოდება კავკასიის დამცველებისადმი, ხომ არ გამოვიგონე ჩემი გმირი?

არა, კაპიტანი ბუხაიძე ნამდვილად არსებობდა და ნამდვილად დაიღუპა, ძველი რაინდივით რომ ებრძოდა მტერს. შემიძლია დავძინო: ახლა ბუხაიძის მეგობრები და თანაპოლკელები, მისი მამაცობის მნახველნი, ფიქრობენ იშუამდგომლონ, რომ მას სიკვდილის შემდგომ მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. და არავის რომ აღარ დარჩეს ეჭვი მისი არსებობის რეალობაში, საიდუმლოდ გეტყვით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ მე დავესწარი კაპიტან ბუხაიძის ქალიშვილის დაქორწინებას, რომელიც მან, ფრონტზე რომ მიდიოდა, აკვანში დატოვა.

და განა ძალუძს მწერალს „გამოიგონოს“ იმაზე დიდებული და მშვენიერი გმირი, ვიდრე თვით ცხოვრება ქმნის!

ცხრაას ორმოცდაორ წელს მე ნალჩიკში ჩავედი, როცა შეტევაზე გადმოსულ მტერთან ბრძოლაში ჩაება ორი ქართული შენაერთი: ერთი ნოვოროსიისკის, მეორე — მოზდოკის მიმართულებით. მათ უკვე განიცადეს დანაკლისი, დაკრძალეს პირველი დაღუპულნი. მინდოდა რაღაც ძალიან გულთბილი მეთქვა ჩემი თანამემამულე გმირებისათვის, გამომეთქვა მთელი ხალხის პატივისცემა იმათდამი, ვინც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძვის სამშობლოსათვის. და მაშინ მომაგონდა ამბავი ძველი საბერძნეთის მეომართა ბრძოლისა თერმოპილეთან, ბავშვობიდანვე რომ მაოცებდა მამაცობითა და მწუხარებით აღსავსე წარწერა მათს საფლავზე: „მოგზაურო, აუწყე ლაკედემონელებს, რომ ჩვენ დავეცით აქ, მათი კანონის ერთგულნი“. და ადვილად და თავისუფლად წამოვიდა სიტყვები, რომლებითაც, როგორც მეჩვენებოდა, შეეძლო ცოცხალ თანამებრძოლოთათვის მიემართა კაპიტან ბუხაიძეს, თავი რომ დადო აქ, კავკასიის კარიბჭესთან:

მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
. . . . . .
ვინც დამხვდოს, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე
აქა ვყლეტდი სისხლის
მსმელებს.

ლექსი ჩემთვის მოულოდნელი სისწრაფით გავრცელდა. დივიზიის გაზეთში მისი გამოქვეყნების შემდეგ იგი აიტაცეს ბაქსანის ხეობაში მდგომმა ქართველმა მეომრებმა, იქიდან გავრცელდა ფრონტის სხვა უბნებზე, სადაც ჩემი თანამემამულენი ომობდნენ. ხოლო როცა რამდენიმე ხნის შემდეგ მოწინავე პოზიციიდან საქართველოში დავბრუნდი, ეს ლექსი ზურგში დამხვდა: მას უკვე მღეროდნენ, რამდენიმე მოტივზეც კი. რუსულ ენაზე იგი თარგმნა ვერა ზვიადგინცევამ და მალე დაიბეჭდა „პრავდაში“.

...გმირის საფლავი აღმოჩნდა უკიდურეს მიჯნაზე, რომლის აქეთაც მტერმა ველარ წამოიწია. ჩვენი არმიები შეტევაზე გადავიდნენ, და როცა გამარჯვებული მეომრები დამხობილ ბერლინში შედიოდნენ, გეჩვენებოდა, რომ მათ გგერდით მიდიოდნენ ისინი, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვების დღეს, ვინც დიდების მარადიული ძეგლები დაიდგა ჩვენს მიწაზე და ჩვენს გულში. მიდიოდა კაპიტანი ბუხაიძეც.

მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარჯად დამაყენეს...

ილიაობა თელავში

ყოველ შემოდგომაზე, როცა ალაზნის ველზე ბარაქიანი რთველი ჩადგება, თელაველი მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ სასიქადულო თანამემამულის დიდი ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ „ილიაობას“. ასე იყო წელსაც. კულტურისა და დასვენების პარკში ნადიკვარზე, რაიონის ათასობით მშრომელმა მოიყარა თავი. სიტყვებით გამოსული თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი დოცენტი ი. ნიკვაძე, ლიტერატორი გ. ჯავახიშვილი და სხვები დამსწრეებს ესაუბრნენ დიდი მწერალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა ფ. რაინაულმა და ს. ჩხუბიანიშვილმა. **(საკ. კორ.).**

„მოსკვიჩი“ — ლატვიის ბილეთით

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ბენეფირი ბილეთი გამოადგა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სატრანსპორტო განყოფილების უფროსს ერმილე ბოლქვაძეს.

ამ დღეებში მან ტყვარჩელის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების ლატვიის 1967 წლის მეცხრე გამოშვების ბილეთი № 329, სერია 63204, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ლიდერთა სამეული

ტუნისში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

მესამე ტურში საბჭოთა გროსმაისტერების **ბელერისა** და **შტეინის** პარტია მშვიდად ვითარდებოდა და ყაიმით დამთავრდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ იუგოსლავი გროსმაისტერები **ბლეიჰორჩი** და **ივკოვი, ბიესლისი** და **ჩეხოსლოვაკელი კავალეკი, ბორტი** (ჩეხოსლოვაკია) და **პორტიში** (უნგრეთი), ბრაზილელი **მეკინგი** და უნგრელი **ბილეკი**, კანადელი **საბლსი** და იუგოსლავი **მატანოვიჩი.**

ტუნისის ჩემპიონმა **ბუაზიზმა** დამარცხება განიცადა იუგოსლავ გროსმაისტერ **მატულოვიჩისგან.** ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერმა **ბირნმა** მოუგო კოლუმბიელ **კუელარს.** დანელი გროსმაისტერის **ლარსენისა** და უნგრელ **ბარცას** შეხვედრა გადადგა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას **ლარსენმა** 76-ე სვლაზე დაამარცხა **მატულოვიჩი, ბიესლისმა** — ახალი ზელანდელი **სარაპუ, ივკოვმა** — **საბლსი.**

ამერიკის შეერთებული შტატების არაერთგზის ჩემპიონის **ფიშერისა** და **პორტიშის** პარტია ყაიმით დამთავრდა.

არგენტინელი გროსმაისტერის **ბოლბოჩანის** გამოუცხადებლობის გამო ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა გამოიყვანოს იგი მონაწილეთა რიგებიდან. ამის გამო კორჩნოი მესამე ტურში თავისუფალი იყო.

სამი ტურის შემდეგ საზონთაშორისო ტურნირის ცხრილის სათავეში დგას სამი მოჭადრაკე. ესენი არიან — **ბიესლისი, ივკოვი** და **ფიშერი,** რომლებსაც 2,5-2,5 რეგვეს აქვთ. ორ-ორი ქულა მოაგროვეს **ბელერმა, რეშევსკიმ, ბირნმა, მატანოვიჩმა, ლარსენმა** და **მატულოვიჩმა.**

„მეცხრე ოლიმპიადაზე“

მეხიკოს „მეცხრე ოლიმპიადაზე“ დამთავრდა ტანმოვარჯიშე ქალთა ასპარეზობა. პირად ასპარეზობაში წარმატება ხვდა ლენინგრადელ ნ. ბუჩინსკაიას. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. კრაკიჩიროვა (ჩეხოსლოვაკია), მესამეზე — ლ. პეტრიკინ. მსოფლიოსა და ოლიმპიურ ამპოლეტურ ჩემპიონს ვ. ჩასლავსკას შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია.

გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელებმა — 375,70 ქულა. სსრ კავშირის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა — 375,50 ქულა.

შტანგისტებს იერიში მიაქვთ მსოფლიოს რეკორდებზე. ქვეასაშუალო წონაში ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა ძალოსანმა ვ. კუზნეცოვმა. მან სამჭიდში აჩვენა ფეხმძღალური შედეგი — 470 კილოგრამი. მსოფლიო რეკორდების ცხრილში (საშუალო წონა) შესწორება შეიტანა აარტვი იაპონელმა მასაზი იუტიმ. მან ატაცში აჩვენა 150 კილოგრამი.

საბჭოთა წყალბურთელებმა უნგრელებთან დამარცხების (3:4) შემდეგ მოუგეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის გუნდს 5:4.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელში შეხვდებით დიდების ობელისკებს — შინმოუსვლელთა სტენდებს. ეს ფაშისტ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საქართველოს შვილების ხსოვნაა. მათ სიცოცხლე გასწირეს იმისათვის, რომ მსოფლიოს ასცილებოდა მიხაკისფერი ჭირი.

ამას წინათ შინმოუსვლელთა სტენდი ააგეს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში. 56 მამაცი მებრძოლი — ქართველი, უკრაინელი, ბელორუსი, ამ სოფლის მკვიდრი, ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ობელისკზე არის ქალიშვილის — ხურეე ანანეძის პორტრეტიც. ექიმი აჭარიდან დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მიხალისედ წავიდა ფრონტზე...

სურათზე: შინმოუსვლელთა სტენდი ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში.

ფოტო ი. ნანეიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მერვედფინალისტები ცნობილია

ცნობილი გახდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ყველა მერვეადფინალისტი ფეხბურთში. ბელგიის „ანდერლეხტმა“ ბრიუსელში გამმეორებლის მატჩში დაამარცხა ვარლ-მარქს-შტადტის (გდრ) გუნდი ანგარიშით 2 : 1. პირველ მატჩშიც წარმატება ბელგიელებს ხვდათ 3 : 1. დანიის გუნდმა „ხვიდოვრემ“ საკუთარ მოედანზე ფრენდ (3:3) დაამარცხა თამაში შეიცვალა „ბაზელთან“. ბაზელში კი ამ გუნდების მატჩში წარმატება დანიელებს მოუტანა — 2 : 1. ბუქარესტის „რაპიდმა“ რევანში აიღო პლოვდივის „თრაკიასთან“ 3:0 პირველ შეხვედრაში დამარცხებისათვის 0 : 2.

ამრიგად, მერვეადფინალის ყველა მონაწილე ცნობილია, ესენი არიან: **„რაპიდი“** (ავსტრია), **„მანჩესტერ იუნაიტედი“** (ინგლისი), **„ბურნიკი“** (პოლონეთი), **„რეალი“** (ესპანეთი), **„ბენფიკა“** (პორტუგალია), **„ვაშაში“** (უნგრეთი), **„ვალიური“** (ისლანდია), **„სპარტა“** (ჩეხოსლოვაკია), **„სენტ-ეტენი“** (საფრანგეთი), **„იუვენტუსი“** (იტალია), **„ანტრაზიტი“** (გფრ), **„დინამო“** (კიევი), **„ანდერლეხტი“** (ბელგია), **„ხვიდოვრე“** (დანია), **„რაპიდი“** (რუმინეთი), **„სარაევო“** (იუგოსლავია).

წილისყრა მოიწყობა მადრიდში 20 ოქტომბერს.

გროდნოსა და სუმგაითში

22 ოქტომბერს გროდნოსა და სუმგაითში დაიწყება მოკვეშირე რესპუბლიკების „ბ“ კლასის უძლიერესი კოლექტივების ფინალური შეჯიბრები ფეხბურთში.

გროდნოში პაექრობა ექნებათ ადგილობრივ „ნემანს“, მინგეჩაურის „ტექსტილშჩიკს“, გორის „დილას“, კიროვაკანის „ლორს“; სუმგაითში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ფოლადი“, სოხუმის „დინამო“, ბრესტის „სპარტაკი“ და სმოლენსკის „ცემენტნიკი“. შეჯიბრება მოიწყობა ერთ წრეზე. გუნდები, რომლებიც ჯგუფებში პირველ ადგილს დაიკავებენ, მოაწყობენ გადამწყვეტ შეჯიბრებას ნეიტრალურ მოედანზე, გამარჯვებულს გადაეცემა გრდამაღალი პრიზი.

„სელტიკს“ იმედი აქვს

გლასგო, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ბუენოს-აირესის „რესინგის“ ფეხბურთელთა დამარცხების შემდეგ (0:1) შოტლანდიის კლუბი „სელტიკი“ იმედოვნებს გასდეს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი საკლუბო გუნდებს შორის. ამისათვის „სელტიკის“ ფეხბურთელებმა უნდა მოიპოვონ კიდევ ერთი გამარჯვება, ან ფრედ მაინც დაამთავრონ საპასუხო მატჩი სა[illegible] კონტინენტებთაშორისო თასის გათამაშებაში, რომელიც 1 ნოემბერს გაიმართება ბუენოს-აირესში. თუ „სელტიკი“ ამ მატჩს წააგებს, იგი თავის მეტოქეს შეხვდება გადამწყვეტ შეჯიბრებაში, რომელიც 4 ნოემბერს მონტევიდეოში გაიმართება.

ყუალმა დაიკლო

ლენინგრადი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). წამში ოცდასამი მეტრი სიძლიერის ქარმა, რომელიც დასავლეთიდან მოსული ციკლონის შედეგად თავს დაატყდა ბალტიის პირეთს, დილიდან თითქოს გადახიდა ნევა. ლენინგრადის მთელ რიგ რაიონებში მდინარეები და არხები ადიდდა.

ლენინგრადელები წყალდიდობას მოუმზადებელი როდი დახვედრიან. მისი „რეპეტიცია“ ჯერ კიდევ გუშინ მოეწყო, როცა წყლის დონემ მეტრნახევარს გადაჭარბა. სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო და რაიონულმა კომისიებმა მაშინვე გასცეს განკარგულება ავარიის თავიდან აცილებისა და შესაძლო დატბორვის ადგილებიდან მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციის შესახებ.

დღეს დღის ორი საათისათვის წყალმა ორდინარს ზევით 2 მეტრითა და 33 სანტიმეტრით აიწია. მაგრამ ამას არ დაურღვევია ქალაქის ჩვეულებრივი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ წყალმა დატბორა ერმიტაჟის სარდაფები (იმ დროისათვის უკვე დაცარიელებული), ექსკურსანტთა ნაკადი მუზეუმში არ წყდებოდა.

მზად არიან საშველი სამსახურები, უთხრა საკდესის კორესპონდენტს ლენინგრადის საქალაქო სახბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ა. გოგოლევმა. მაგრამ აქამდე გამოვიყენეთ მხოლოდ რამდენიმე ავტომობილი — ამფიბია, რომლებმაც კაშირი დაამყარეს სესტრორეცკის წყლით ბლოკირებული ცალკეული სახლების მცხოვრებლებთან.

წყალდიდობა ლენინგრადში იშვიათობა როდია. მაგრამ ასეთი წყალდიდობა არ ყოფილა **1955** წლიდან.

საქალაქო რადიოქსელით 15 საათის შემდეგ გადასცეს კომისიის ცნობა იმის შესახებ, რომ წყალმა დაკლება დაიწყო.

გაპოლინერეთ, იკითხეთ გაზეთი

კომუნისტი

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს „სოიუზპეჩატი“ იუწყება, რომ

გაზეთ „კომუნისტზე“

ხელმოწერა 1968 წლისათვის

შეწყდება 25 ნოემბერს

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1968 წლის თებერვლისათვის და მომდევნო თვეებისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

ყოველდღე, ყოველ საათ ათასობით ახალი ამბავი ეფინება

ჩვენს დედამიწას. რთულ გზას გადის ინფორმაცია, სანამ მკითხველამდე მიაღწევდეს. მას ყურნალისტები წერენ, ასოთამწყობები აწყობენ, მბეჭდავები ბეჭდავენ და მზა გაზეთებს ფოსტალიონები აწვდიან მკითხველებს.

ჩვენს ფოტოსურათზეა ფოსტალიონი **მიხეილ ბრეგვაძე.** იგი თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტ წლის წინათ გამოჩნდა. მას შემდეგ მუშაობს მიხეილი მთავარ ფოსტამტში.

და როცა მტრედისფრად ინათებს, მთავარი ფოსტამტის ეზოდან გაზეთებით დატვირთული ცხენური მოტოციკლეთ გამოდის მიხეილი. ხომ უნდა მოასწროს რაც შეიძლება მალე მიაწოდოს მკითხველს ათობით კილოგრამი ახალი ამბები. უყვარს მიხეილს თავისი პროფესია, ცოცხალი, ოპერატიული. მის ჩანთაში გაზეთების დიდ კონებს შორის ყოველთვის სათანადო ადგილი უჭირავს გაზეთ „კომუნისტს“.

პატივცემულო ხელისმომწერნო!

ახალი წლიდან ჩვენი გაზეთები კიდევ უფრო საინტერესო, შინაარსიანი და მიმზიდველი გახდება. გაჩნდება ახალი რუბრიკები, ნარკვევები, ფელეტონები, გაუმჯობესდება გაზეთების გაფორმება, ჩვენი ფოსტალიონი მიხეილ ბრეგვაძე და მისი ამხანაგები კი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გაზეთი თავის დროზე მიუვიდეს მკითხველს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

20 ოქტომბერი

10.00 — კინონარკვევი, 10.30 — მხატვრული ფილმი „ლამესთან მარტოდ“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ისინი თქვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“ — თედორე გიგინეიშვილი, 19.00 — ახალი ამბების „ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა — „რთველი გურჯაანში“, 20.20 — კინონარკვევი, 20.35 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება“, 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.45 — მხატვრული ფილმი.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

21 ოქტომბერი

09.30 — ლექცია „ქსელოვანი დაგეგმვა და მართვა მშენებლობაში“, 11.00 — მხატვრული ფილმი „ოცდამეექვსეს არ ესროლოთ“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — „თქვენთვის, პატარებო!“ — „ცეროდენას ეკრანი“, 17.20 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 17.45 — კინონარკვევი, 17.55 — გადაცემა — „საბჭოთა პროექტი 50 წლის მანძილზე“, 18.30 — გადაცემა „ლენინის ორდენოსანი ოცი ცნობილია“ შეხვედრები ადამიანებთან, 19.00 — „ლენინგრადი“ — „ბრიგადა“, 20.20 — „ბალეტი“, 20.30 — „ექსპო 67“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „ცისფერი ეკრანის ფოსტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — კინონარკვევი, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — სატელევიზიო დოდგმა „სასამართლო ქრონიკა“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა. გამეორება), 23.25 — გადაცემათა პროგრამა 22 ოქტომბრისათვის, 23.30 — 1967 წლის პოპულარული სიმღერები (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღეს 11 საათიდან.

თეატრები

20 ოქტომბერი

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და ალეტი (მე-3 ბბონ. მე-8 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია ბაღდასარი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შესანიშნავი სმენელი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის წარმოდგენა) — ფიფქა და შვიდი ჯუჯა (№ 5 ბბონ. დღის 3 ს.).

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 04226

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.